ნიკორას დაგროვებითი ბარათი

,,ნიკორას დაგროვებითი ბარათი“ (შემდგომში ბარათი), არის სს ,,ნიკორა ტრეიდი”-ს მიერ მომხმარებლისთვის შექმნილი მარკეტინგული პროდუქტი. ბარათის მფლობელის მიერ ნიკორა ტრეიდი-ს სუპერმარკეტებში, კერძოდ ,,ნიკორას“ ბრენდის ქვეშ მოქმედ სუპერმარკეტებში (,,ნიკორა სუპერმარკეტი“) გაკეთებული შენაძენები დადგენილი წესით აღირიცხება ბარათის მეშვეობით და გროვდება ქულები.
ბარათზე დაგროვილი ქულების ექვივალენტი თანხით, ბარათის მფლობელს უფლება აქვს აირჩიოს შესაბამისი ღირებულების ნებისმიერი პროდუქტი შეუზღუდავად.

1. ,,ნიკორას დაგროვებითი ბარათი“-ს კომპლექტურობა და სტატუსი

1.1 ,,ნიკორას დაგროვებითი ბარათი“ შედგება 1 ცალი ძირითადი ბარათისგან, რომელსაც მინიჭებული აქვს 13 ნიშნა საიდენტიფიკგამოაციო კოდი.
1.2 ბარათი წარმოადგენს სს ,,ნიკორა ტრეიდი“-ს საკუთრებას.
1.3 ბარათ(ებ)ი არ წარმოადგენს ანგარიშსწორების საშუალებას, მათი მეშვეობით მხოლოდ გროვდება ქულები და კომპანია ინახავს ინფორმაციას ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით განხორციელებულ შენაძენებზე.

2. ბარათის გაცემის წესი

2.1 ბარათის გაცემა ხდება ,,ნიკორა ტრეიდი“-ს სავაჭრო ქსელში შემავალი „ნიკორას“ ბრენდის სუპერმარკეტებში ან სავაჭრო ქსელის გაერთ კომპანიის წარმომადგენლების მიერ.
2.2 ბარათის მიღება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ პირს რომელსაც შეუსრულდა 18 წელი.
2.3 ბარათის მიღებისას დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ძალაში მყოფი პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, ID ბარათი, საზღვარგარეთის პასტორტი, მართვის მოწმობა ან სხვა), რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ფოტო-სურათი; ამასთან დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოს მიერ.
2.4 ბარათის გაცემა არ არის დამოკიდებული შენაძენზე და მისი გაცემა ხდება დაინტერესებული პირის მოთხოვნისა და შესაბამის დოკუემტაციაზე ხელმოწერის საფუძველზე.
2.5 ბარათის მოთხოვნის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი დაგროვებითი ბარათის მოთხოვნის განაცხადზე/გაცემის აქტზე ადასტურებს მისი პირადი მონაცემების სიზუსტეს და თანხმობას გამოთქვამს მიიღოს ნებისმიერი შეტყობინება (მათ შორის სარეკლამო სახის) მითითებული საკონტაქტო საშუალებებით (ტელეფონი, ელ. ფოსტა). დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს შეტყობინების მიღების შეწყვეტა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2.6 მოთხოვნილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სს ,,ნიკორა ტრეიდი“-ს მიერ ბარათის გააქტიურება მოხდება, მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

3. ბარათის მუშაობის პრინციპი

3.1 ბარათი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, გარდა იმ შემთხვევისა თუ ქსელში 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში ერთხელ მაინც არ იქნება გატარებული, ასეთ შემთხვევაში ბარათი იბლოკება, ავტომატურად უქმდება და მასზე დარიცხული ქულები ანულირდება.

3.2 ბარათის გამოყენება შეიძლება სს ,,ნიკორა ტრეიდი"-ს სავაჭრო ქსელში შემავალ „ნიკორა სუპერმარკეტი"-ს ბრენდის ქვეშ მომუშავე სავაჭრო წერტილებზე.

3.3 ბარათზე ქულები გროვდება მხოლოდ იმ რაოდენობით და იმ პროდუქტის შეძენის შემთხვევაში, რომელთა შეძენის მომენტში ფასმაჩვენებელზეც მითითებულია ქულის შესახებ.

3.4 ბარათზე ქულების დასარიცხად, სალაროში თანხის გადახდისას სავალდებულოა ბარათის წარმოდგენა და შესაბამის ტერმინალში გატარება.

3.5 დაგროვილი ქულები ბარათზე აისახება ტერმინალში გატარების მეორე დღეს.

4. ქულების განაღდების წესი

4.1 დაგროვილი ქულების განაღდება შეიძლება სს ,,ნიკორა ტრეიდი"-ს სავაჭრო ქსელში შემავალ „ნიკორა"-ს ბრენდის ქვეშ მომუშავე სავაჭრო წერტილებზე

4.2 სს ნიკორა ტრეიდი-ს მიერ მიმდინარედ დადგენილი წესის შესაბამისად, 100 პირობითი ერთეულის ქულა შეესაბამება 1 ლარს, მაგალითად: თუ მომხმარებელს აქვს 105 ქულა შეუძლია გაიტანოს 1,05₾ ღირებულების პროდუქცია და ა.შ.

4.3 ძირითადი ბარათის რეგისტრირებულ მფლობელს, ნებისმიერ დროს შეუძლია გაანაღდოს დარიცხული ქულები და განაღდების მომენტში ბარათზე ფაქტიურად არსებული მონეტების ექვივალენტური თანხით აირჩიოს სასურველი პროდუქტი შეუზღუდავად. ქულების განაღდებისას პროდუქტის ღირებულება განისაზღვრება განაღდების მომენტში შესაბამის სავაჭრო წერტილზე არსებული ფასების შესაბამისად. დაუშვებელია ქულის გადაცვლა ფულზე/ვალუტაზე.

4.4 ქულების განაღდებისას, ბარათის რეგისტრირებული მფლობელი ვალდებულია წარმოადგნიოს ძირითადი ბარათი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ხელი მოაწეროს განაღდების აქტს ან სხვა თანაბარი ძალის მქონე სპეციალურ დოკუმენტს.

4.5 ქულების განაღდებისას, ბარათიდან ჩამოიჭრება შესაბამისი ქულების რაოდენობა.

5. ბარათის დაბლოკვა, დაკარგული ან დაზიანებული ბარათის აღდგენა, ბარათის გადაფორმება

5.1 თუ სს ,,ნიკორა ტრეიდი"-ს სუპერმარკეტების ქსელში (კერძოდ ნიკორას ბრენდის ობიექტებში) 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში ერთხელ მაინც არ იქნება გატარებული ტერმინალში, ასეთ შემთხვევაში ბარათ(ებ)ი იბლოკება, ავტომატურად უქმდება და მასზე დარიცხული ქულები ანულირდება. ასეთ შემთხვევაში დაბლოკილი ბარათები აღდგენას არ ექვემდებარება და დაინტერესებულ პირზე მოთხოვნის შემთხვევაში გაიცემა ახალი ბარათი.

5.2 სს ,,ნიკორა ტრეიდი"- უფლებამოსილია დაბლოკოს ბარათები არასანქცირებული გამოყენების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში ქულების ანულირდება.

5.3 **დაკარგული ან დაზიანებული ძირითადი ბარათის აღდგენა დასაშვებია და მისი საფასურია 100 ქულა. ასეთ შემთხვევაში დაკარგული ან დაზიანებული ბარათი იბლოკება, ხოლო დაზიანებული ბარათი უნდა დაუბრუნდეს სს ნიკორა ტრეიდს.**
დაკარგული/დაზიანებული დამატებითი ბარათების აღდგენა არ ხდება.

5.4 დაკარგული ან დაზიანებული ბარათის აღსადგენად აუცილებელია ბარათის რეგისტრირებულმა მფლობელმა შეავსოს სპეციალური განაცხადი სს ,,ნიკორა ტრეიდი"-ს სავაჭრო ქსელში შემავალ „ნიკორა"-ს ბრენდის ქვეშ მომუშავე სავაჭრო წერტილში.

5.5 **თუ დაკარგულ ან დაზიანებულ ბარათზე არ ირიცხება მინიმუმ 100 ქულა ბარათის აღდგენა/გააქტიურება არ მოხდება და დაინტერესებულ პირზე მოთხოვნის შემთხვევაში გაიცემა ახალი ბარათი.**

5.6 სს ,,ნიკორა ტრეიდი"-ს სუპერმარკეტებში შევსებული განაცხდის საფუძველზე დაზიანებული ან დაკარგული ბარათის აღდგენა მოხდება 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო დაგროვილი ქულების აღდგენილ ბარათზე გადმორიცხვა მოხდება 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.7 ბარათის მფლობელს შეუძლია თავისი ბარათი გადააფორმოს სხვა სრულწლოვან მოქალაქეზე. ასეთ შემთხვევაში დაინტერესბულმა პირებმა უნდა მიმართონ სს ,,ნიკორა ტრეიდი"-ს სათაო ოფისს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ც. დადიანის #7 სავაჭრო ცენტრი ქარვასლა IV სართული.

5.8 ერთ პირზე დასაშვებია მხოლოდ ერთი მოქმედი ბარათის არსებობა.

5.9 ბარათის დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში შესაძლებელია ძველი ბარათიდან ახლა ბარათზე ქულების გადატანა.

5.10 ძირითად ბარათის დაბლოკვით იბლოკება დამატებითი ბარათებიც.

6. **სხვა პირობები**

6.1 ბარათზე ქულები არ დაირიცხება შეძენილ პროდუქციაზე სასაქონლო ზედნადების მოთხოვნისას.

6.2 ბარათზე დარიცხული ქულები მეორე დღესვე არ აისახება თუ არის რაიმე სახის ტექნიკური პრობლემა, ასეთ შემთხვევებში ქულები ანგარიშზე აისახება 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3 ამ წესებით დადგენილი პირობები შეიძლება შეიცვალოს სს ,,ნიკორა ტრეიდი"-ს მიერ, რომელიც სავალდებულო იქნება ბარათების მფლობელებისთვის.

6.4 სს ,,ნიკორა ტრეიდი" უფლებას იტოვებს მისი შეხედულებისამებრ გააუქმოს დაგროვებითი ბარათის პროექტი და შეწყვიტოს ქულების დარიცხვა. გაუქმებამდე ბარათზე არსებული ქულების განაღდება შესაძლებელია ჩვეულებრივი წესით.

6.5 ნიკორა ტრეიდი უფლებას იტოვებს ბარათებთან დაკავშირებული ნებისმიერი სიახლის და ცვლილების შესახებ შეატყობინოს ბარათის მფლობელებს მათ მიერ ანკეტაში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე.

6.6 ბარათის მფლობელს ბარათებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეუძლია დაუკავშირდეს სს ,,ნიკორა ტრეიდი"-ს ბარათების სამსახურს:
მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის #7 სავაჭრო ცენტრი ქარვასლა IV სართული, ტელ : 237 00 03, ელ. ფოსტა: card@nikoratrade.ge